



## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

## ბრძანება N 6

06/01/2020

ქ.თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N247 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად კონკურსისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი სატენდერო და საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- |                         |                                                                                            |
|-------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------|
| 1. ჯონი შურდულაია       | - სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.<br><b>კომისიის თავმჯდომარე;</b>              |
| 2. გიორგი ბაბაკიშვილი   | - სამსახურის უფროსის მოადგილე.<br><b>კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;</b>                   |
| 3. ალექსანდრე ხუსკივაძე | - სამსახურის კვლევის და სისტემური ანალიზის დეპარტამენტის უფროსი.<br><b>კომისიის წევრი;</b> |
| 4. მზიური ბარბაქაძე     | - სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი.<br><b>კომისიის წევრი;</b>                    |
| 5. გიორგი ნაყეური       | - სამსახურის პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი.<br><b>კომისიის წევრი;</b>      |
| 6. ირაკლი ჩხაიძე        | - სამსახურის სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი.<br><b>კომისიის წევრი;</b>     |
| 7. გრიგოლ გალდავა       | - სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.<br><b>კომისიის წევრი;</b>     |

2. სატენდერო და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ თავისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სატენდერო და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს სატენდერო და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ 2019 წლის 22 ნოემბრის სამსახურის N122 ბრძანება;

4. დაევალოს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სხვა დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ჯონი შურდულაია



სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი